პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 30 ნოემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ

№ 662 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც· ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ინგლისის ბურჟუაზიის სიყალბე დამტკიცებული იქნება.

დღეს ჩვენ გაზეთში ქვეყნდება საბჭოთა მთავრობის ორი საპასუხო ნოტა ინგლისის მთავრობისადმი.

თავის ორ უკანასკნელ ნოტაში ჩვენს მიმართ ინგლისის კონსერვატიულ მთავრობამ უარი განაცხადა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცებაზე და სინამდვილეთ სცნო „ზინოვიევის წერილი“.

რომ გაემართლებია თავისი მტაცებლური, შეურიგებელი პოლიტიკა ჩვენს წინააღმდეგ, ინგლისის რეაქციონურ ბურჟუაზიამ მიმართა საძაგელ სიყალბეს და გვესროლა ის სახეში.

ცხადია მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ დასტოვებდა ამ ცილისწამებას უყურადღებოთ.

ამიტომ მან გაუგზავნა პასუხი აღვირახსნილ ინგლისის ბურჟუაზიას.

ეს ნოტა სრულიად ცხად ჰყოფს ჩვენს სიმართლეს ერთის მხრივ, და ინგლისის ბურჟუაზიის საზიზღარ სიცრუეს მეორეს მხრივ.

მიუხედავათ იმისა, რომ „ზინოვიევის წერილის“ სიყალბე დამტკიცა თვით მაკდონალდის მიერ სპეციალურად დანიშნულ კომისიამ, მიუხედავათ იმისა რომ ინგლისის ახალ მთავრობამ ვერ გვიჩვენა წერილის დედანი, და მიუხედავათ სხვა აუარებელი საბუთების, რომლებიც ამ წერილის სიყალბეს ააშკარავებენ, ინგლისის ბურჟუაზიულ მთავრობამ ის მაინც წამოგვიყენა ბრალდებათ და განაცხადა, რომ ეს წერილი ნამდვილად ზინოვიევს ეკუთვნისო.

რატომ შვება ამას ინგლისის რეაქცია?

მას სურს თავისი თავი მამაბრამის ბატკნათ მოაჩვენოს ინგლისის მუშათა კლასს და ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების და ხელშეკრულების დარღვევის მიზეზად ჩვენ ჩაგვთვალოს.

სიცრუით და ყალბი წერილებით მას უნდა ჩვენ გამოგვიყვანოს დამნაშავეთ და მით ააღელვოს მუშათა საზოგადოებრივი აზრი ჩვენს წინააღმდეგ.

აი რა საძაგელი მიზანი აქვს ინგლისის საგარეო მინისტრის ბატონ ჩემბერლენის ნოტას.

მაგრამ ეს ხრიკები მათ არ გაუვათ.

საბჭოთა ხელისუფლება ამას ასე არ დასტოვებს და საქმით დაამტკიცებს თავის სიმართლეს და ინგლისის ბურჟუაზიის გათახსირებას.

ნუ ჰგონიათ ბ. ბ. ბალდუინს და მის ძმათა, რომ გადმოგვიგზავნეს ცილისწამებით აღსავსე ნოტა და ყველაფერი გათავდა.

ჩვენთან ხუმრობა არც ისე ადვილია.

მიუხედავათ იმისა, როგორც ზევით ვსთქვით, „ზინოვიევის წერილის“ სიყალბე საკმაოდ დამტკიცებულია. საბჭოთა ხელისუფლება თავის უკანასკნელ ნოტაში მაინც მოითხოვს ამ საქმის გადაცემას გასარჩევად სამედიატორო სასამართლოსათვის.

ვნახოთ რას გვეტყვის ამაზე ინგლისის მთავრობა.

ერთი კი უეჭველია.

მისი სიყალბე და გათახსირება დამტკიცდება, რაც არ უნდა მოხდეს.

ამას ჩვენ მივაღწევთ.

განხეთქილება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია ადასტურებს „ზინოვიევის წერილის“ სიყალბეს.

„ზინოვიევის წერილის“ დედანი ვერ აღმოაჩინეს.

საბჭოთა კავშირი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების ჩაშლაში.

საბჭოთა კავშირი კვლავ მოითხოვს სამედიატორო სასამართლოს.

საბჭოთა კავშირის პირველი ნოტა.

28 ნოემბერს ამხ. რაკოვსკიმ გადასცა ინგლისის მთავრობას შემდეგი ნოტები: „მე მივიღე და გავაცანი საბჭოთა კავშირის მთავრობას თქვენი ნოტა, რომელშიაც უარს უცხადებთ 8 აგვისტოს დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაზე, რომელზედაც ხელს აწერს მაკდონალდი და მისი ამხანაგი პანსონბი.

საბჭოთა კავშირი დიდ მწუხარებას გამოსთქვამს ხელშეკრულების უარყოფისთვის, ვინაიდან ის იყო პირველი ნაბიჯი საერთო მშვიდობიანობის და ორივე ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. ამისათვის საბჭოთა მთავრობა იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ უკმაყოფილებაში, რომელსაც გამოიწვევს ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილება ორივე სახელმწიფოში“.

საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტა.

„ზინოვიევის წერილი“—სრული სიყალბეა.

ჩემმა მთავრობამ დამავალა მოგაგონოდ თქვენ შემდეგი ფაქტები:

„როცა მივიღე ნოტა „ზინოვიევის წერილის“ შესახებ, მე მაშინვე გაუგზავნე წერილი ბატონ მაკდონალდს, რომელსაც ვწერდი, რომ ხსენებული წერილი არ ეკუთვნის ზინოვიევს და ყალბია-თქო.

27 ოქტომბერს მე კვლავ გაუგზავნე მაკდონალდს ნოტა, რომ მოსკოვში მოხდენილ გამორკვევის შემდეგ, ჩემმა მთავრობამ დამავალა განვაცხადო კატეგორიულად, რომ წერილი რომელსაც მიაწერენ ზინოვიევს და რომელიც მიზეზი გახდა მიმოწერისა, სრულ სიყალბეს წარმოადგენს“.

ორივე ნოტას ხელს აწერს რაკოვსკი.

სარწმუნო კომისიის აზრი.

სიმართლის გამოსარკვევად საბჭოთა კავშირის წინადადება იყო სამედიატორო სასამართლოს დანიშვნა. მაგრამ რამოდენიმე კვირა გავიდა და ჩემს მთავრობას პასუხი არ მიუღია ამ წინადადებაზე.

საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ საჭიროდ დაინახა დაენიშნა სარწმუნო კომისია სიმართლის გამოსარკვევად. ხსენებულმა კომისიამ გამოძიების შემდეგ განაცხადა, რომ არც მთავრობას და არც რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას ხსენებული წერილის დედანი არ უნახავს. შეუძლებელია ბრალდების აგება ასლების მიხედვით, რომლის დედანი არავის არ უნახავს და არც ყოფილა სინამდვილეში.

ინგლისის დელეგაცია დარწმუნებულია წერილის სიყალბეში.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აზრი ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის, რომელმაც გამოარკვია ეს საკითხი მოსკოვში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წერილი ყალბია და ამას ამტკიცებს სხვათა შორის ინგლისის მთავრობის უარი სამედიატორო სასამართლოზე.

ბრალდება უსაბუთოა.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მეტად გაკვირვებულია იმით, რომ ბრიტანეთის მთავრობა უარს აცხადებს მიუდგომელ სასამართლოზე და უსაბუთოდ ამტკიცებს წერილის სინამდვილეს. ჩემს მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია მიიღოს ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდება.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს სამედიატორო სასამართლოს.

რამდენადაც ბრიტანეთის მთავრობას არ სურს ანგარიში გაუწიოს მთავრობის კომისიის აზრს და კვლავ განაგრძობს ბრალდებას — საბჭოთა მთავრობა მოითხოვს კვლავ სამედიატორო სასამართლოს, როგორც ეს წინა ნოტაში ჰქონდა მას აღნიშნული და რომელიც ვითომდა დაიკარგა დიდ ბრიტანეთის მთავრობის გამოცვლის დროს. ინგლისის მთავრობისთვის ნათელი უნდა იყოს რომ თუ ის უარს იტყვის სამედიატორო სასამართლოზე, მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი შეხედულება დაამტკიცებს იმას, რომ ინგლისის მიერ წამოყენებული ბრალდება სრული სიყალბეა.

კომინტერნი და საბჭოთა კავშირი სხვა და სხვა ორგანიზაციაა.

ჩემი მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბრიტანეთის მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში გვერდი აუხვია პირდაპირ პასუხს „ზინოვიევის“ წერილის შესახებ და ის დაუკავშირა კომინტერნის საქმიანობას. ამიტომ ჩემი მთავრობის დავალებით კიდევ ვიმეორებ, რომ საბჭოთა კავშირი და კომინტერნი სულ სხვა და სხვა ორგანიზაციაა.

22 საათში მოსკოვიდან ენზელამდი.

იუნკერსის საზოგადოების თვითმფრინავი 25 ნოემბერს მშვიდობიანად ჩაფრინდა ენზელში. (სპარსეთში).

თვითმფრინავის მოგზაურობა გაგრძელდა 22 საათი.

სომხეთის გასაბჭოების ოთხი წელი.

29 ნოემბერს შესრულდა ოთხი წელი, რაც სომხეთში დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება.

1920 წ. 29 ნოემბერს ბოლო მოეღო სომხეთის მშრომელთა მასების საუკუნოებრივ ტანჯვა—წვალებას.

ამ დღეს სამუდამოთ დაეცა დაშნაკელების მაუზერისტული მთავრობა და ნიადაგი გამოეცალა მათი შოვინისტურ, სისხლიან პოლიტიკას.

სომხეთის მშრომელმა ხალხმა წითელ არმიის ენერგიული დახმარებით დაამსხვრია საუკუნოებრივი ბორკილები, რომელიც სულს უხუთავდენ მას და არ აძლევდენ განვითარების საშუალებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით სომხეთის მშრომელ ხალხის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა.

მთელი სომხეთის მხარემ დაიწყო ახალი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომით აღსავსე ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლებამ და ძლევამოსილმა წითელ არმიამ უზრუნველყო მისი შემოქმედებითი შრომა და კეთილდღეობა.

თუ შევადარებთ დღეს სომხეთს გასაბჭოებამდე დღევანდელ სომხეთთან, ჩვენთვის აშკარა და ნათელი გახდება ის უდიდესი მუშაობა მხარეს აღორძინების საქმეში, რომელიც ჩაატარა მუშურ--გლეხური ხელისუფლებამ ამ ოთხი წლის განმავლობაში.

სოფლის მეურნეობა გამოკეთდა. საგრძნობლად განვითარდა ბამბის და სხვა ძვირფასი მცენარეთა კულტურა.

შენდება მრავალი ჰიდრო ელექტრონის სადგურები, ვითარდება კოოპერაცია, იფურჩქნება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

წყეული, სიმწარით და შხამით მოცული წარსული შორს ლა დარჩა. წინ დევს დიდი ნაყოფიერი მუშაობა, მიმართული სომხეთის მშრომელთა ხალხის კეთილდღეობის განმტკიცებისაკენ.

მშრომელმა ხალხმა თავისი გაიტანა, თავისი ჩაიდინა.

სომხეთის მუშა და გლეხი—აი ვინ არიან სომხეთის ახალი ბატონ-პატრონი, მისი საუკეთესო მომავლის გამომჭედი. მათი მშვიდობიანი შრომის ფხიზელი დარაჯია ჩვენი მოძმე-სომხეთის ახალგაზრდა წითელი ჯარი.

ჩვენ სიხარულით ავღვნიშნავთ სომხეთის რესპუბლიკის ოთხი წლის არსებობის თავს.

მომავალში უსურვებთ უფრო ნაყოფიერ და მხოლოდ გამარჯვებებით აღსავსე მუშაობას.

ჩვენი ძმური სიყვარული და სალამი საბჭოთა სომხეთს.

სალამი ჩვენ ამხანაგს-ახალგაზრდა სომხეთის წითელ არმიას.

ამხ. გ. თუხარელი.

1-ლ ქარ. მსრ. დივ. უფროსი.

ინგლისის დელეგაციის კატეგორიული განცხადება.

პროფორგანიზაციების წარმომადგენელთან საუბარში ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელმა პერსელმა განაცხადა: „ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ „ზინოვიევის წერილი“ უხეში სიყალბეა. ჩვენ მოვითხოვთ მიღებულ იქნას რაკოვსკის წინადადება სამედიატორო სასამართლოს შესახებ და გამოცხადებულ იქნას პრესაში წერილის სიყალბის შესახებ. ყოველივე. სიყალბეს ბოლო უნდა მოეღოს.

მუშათა მოძრაობა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრები თავის ბელადების წინააღმდეგ.

სოციალ-შეთანხმებლებმა კავშირის ფული გაფლანგეს.

ამას წინად გერმანიაში დაითხოვეს 24.000 რკინის გზის მუშა. ამის გამო კელნას ველზე გაიმართა დიდი კრება, სადაც გაარჩიეს დათხოვნილ მუშათა საქმე. დათხოვნის მიზეზია სოციალ-დემოკრატების მოქმედება. ამან მეტად აღაშფოთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები მუშებიც კი და სასტიკად გაილაშქრეს თავიანთ ბელადების წინააღმდეგ.

რეზოლიუციაში, რომელიც გამოიტანა კრებამ, მუშები მოითხოვენ რკინისგზელთა ერთიანი ფრონტის შექმნას მასიურ დათხოვნის წინააღმდეგ და ეკონომიურ ნიადაგზე საბრძოლველად.

საჭიროა რევიზიები.

შვეციის რეფორმისტულ პროფკავშირებში დიდი მღელვარება მოახდინა პროფორგანიზაციების მოღალატეების მიერ ფულების გაფლანგვამ. აღმოაჩინეს მრავალი ასეთი შემთხვევა.

რიგი ბელგიაზეა.

ბელგიის მრეწველებს შორის შემჩნეულია კომერციულ ურთიერთობის აღდგენის სურვილი საბჭოთა კავშირთან.

საქციონერო საზოგადოებამ, რომელსაც წინად შიშის საწარმოო განყოფილებები ჰქონდა საბჭოთა კავშირში, გააფართოვა, თავის კაპიტალი, რაიც როგორც ეს საზოგადოება აცხადებს, აიხსნება იმით, რომ საჭიროა მომზადებული შეხვდე მუშაობას საბჭოთა კავშირში არსებულ სამრეწველო დაწესებულებში,რომლის შემთხვევაც მალე გვექნებაო.

განხეთქილება ინგლისსა და ეგვიპტეს შორის.

ზაგლულ-ფაშას მომხრეების დაპატიმრება.

ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა შეიპყრეს კაირში ზაგლულ-ფაშას 4 მომხრე და გააგზავნეს სადღაც.

ამან გამოიწვია კაბინეტის სამი წევრის გადადგომა, რამაც ნიადაგი მოუმზადა ახალი მთავრობის გადადგომას.

1-ლი ქართული დივიზიის ყოფ. უფროსის ამხ. სამსონ ლევქთაძის გაცილება.

გუშინ წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში მოხდა 1-ლი ქართული დივიზიის ყოფ. უფროსის ამხ. სამსონ ლევქთაძის საზეიმო გაცილება.

კლუბის დიდი დარბაზი აივსო ამხ. ლევქთაძის პატივისმცემლებით. სცენაზე ზიან პასუხისმგებელი ამხანაგები: აქ არიან დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. თენგიზ ჟღენტი, პოლიტ-განყოფილების უფროსი ამხ. არტემ კვირიკაძე, დივიზიის ახლად დანიშნული უფროსი ამხ. თუხარელი და სხვები.

ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე სცენაზე გამოყავთ თვით ის პიროვნება, რომლის წასვლისას მადლობის სათქმელად მოსულა ამდენი ხალხი.

დაიწყო გამოსამშვიდობებელი სიტყვები: მთელი დივიზიისა და ს. ქ. პ. ცეკას დავალებით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. თ. ჟღენტმა. მან აღნიშნა ამხ. ლევქთაძის დიდი დამსახურება რევოლიუციის წინაშე, რისთვისაც მას ბოძებული აქვს წითელი დროშის ორდენი, აღნიშნა რომ ლევქთაძე არის პირველი იმ ოფიცერთა შორის, რომლებიც უყოყმანოთ დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და რომლებმაც გაიზიარეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პრინციპები. ამხ. თენგიზი ბევრს შეჩერდა მის პიროვნულ ღირსებებზე, რის გამოც ამხ. ლევქთაძემ დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივისცემა ყველა მის თანამშრომელთა შორის. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მისი წასვლა წითელი ჯარიდან იწვევს ერთგვარ მწუხარებას და სხვა და სხვა.

დივიზიის პოლიტ-განყოფილების სახელით გამოდის ამხ. არტემ კვირიკაძე. იგიც ბევრს ჩერდება ამხ. ლევქთაძის წარსულ მოღვაწეობაზე და გამოსთქვამს იმედს რომ ლევქთაძის წასვლა წითელი ჯარიდან არის მხოლოთ დროებითი მოვლენა და შემდეგ, როცა გამოკეთდება მისი ჯანმრთელობა, იგი კვლავ დაუბრუნდება წითელი ჯარის რიგებს.

გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართავენ აგრეთვე ამხ. ვიქტორ სიხარულიძე, გიორგაძე (წითელ დროშოვან არმიის სახელით), თუხარელი და სხვები.

დასასრულ საპასუხო სიტყვით გამოდის თვით ამხ. ლევქთაძე. იგი მადლობას უხდის ყველას ასეთი თბილი და მგრძნობიარე გამომშვიდობებისათვის და აღნიშნავს, რომ შეეცდება მზად იყოს ყოველთვის მუშათა ხელისუფლების დასაცავად და ამხანაგების მიერ გამოთქმულ იმედების გასამართლებლათ.

ამხ. ლევქთაძის სიტყვას ფარავს დაუსრულებელი ტაშის გრიალი და ვაშას ძახილი.

წითელ არმიელებს ამხ. ლევქთაძე აყვანილი გამოყავთ სცენიდან, გაყავთ წით. არმ. კლუბიდან და აყვანილივე მიიყვანეს შტაბში, სადაც ამხანაგმა ლევქთაძემ, თვალებზე ცრემლ მორეულმა მადლობის ნიშნათ გადაჰკოცნა წითელ არმიელები.

გამოსამშვიდობებელი ზეიმი დასრულდა საღამოს 4 ნახევარ საათზე.

დ.

უდიდესი საავადმყოფო მთელ ევროპაში.

ლენინგრადში გაიხსნა საავადმყოფო უდიდესი მთელ ევროპაში პროფესორ მეჩნიკოვის სახელობაზე.

საავადმყოფო აგებულია ტეხნიკის უკანასკნელ გეგმაზე.

მეთაურებთან მეცადინეობის შესახებ.

არა ერთი და ორი წერილი იყო მეთაურებთან მეცადინეობის შესახებ, მაგრამ ამ დარგში საქმე თავის დონეზე მაინც არაა დაყენებული. მართალია, ენერგიული მუშაობა სწარმოებს და ნაყოფსაც ვხედავთ, მაგრამ ამ მუშაობაში სათანადო გამოცდილების მიღების შემდეგ საჭიროა რამოდენიმე შესწორების შეტანა, რომ მუშაობა მეტ ნაყოფიერათ მიმდინარეობდეს. უკანასკნელად ქართულ მეთაურთა სკოლაში მომხდარი მეთაურების გამოცდები, რომელსაც ქონდა მიზნათ სკოლის პირველი გამოშვების ნორმალური კურსის გამოცდების ჩაბარება, გვარწმუნებენ, რომ საქმე არც ისეთ სიმაღლეზე ყოფილა დაყენებული, როგორც ჩვენ გვეგონა. სჩანს, რომ მეთაურებს, რომლებიც ორი წელია მსახურობს წითელ არმიაში, არავითარი ცოდნა გარდა იმისა, რომელიც მათ მიუღიათ სკოლაში არ შეუძენიათ და ორ წელს ამ დარგში უნაყოფოთ ჩაუვლია, და თითქმის ზოგიერთ საკითხებში შეძენილიც დაივიწყებიათ. მე არაფერს არ ვიტყვი სამხედრო საგნებზე თუ აქ მათ როგორი ცოდნა აქვთ, თუმცა ცხადია, რომ გაცილებით უფრო გაუმჯობესებიათ ამ დარგში მათ სკოლაში მიღებული ცოდნა და გაუფართოვებიათ ვიდრე, პოლიტიკურში. აქ ყურადღების ღირსია პოლიტიკური ცოდნა, პოლიტიკური მეცადინეობა. არ შეიძლება ნაწილებს ბრალი დავდვათ იმაში რომ მათ არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ მეთაურებში და იმიტომ არ აქვთ ამ უკანასკნელებს სათანადო პოლიტიკური მომზადება. აქ საქმე მეცადინეობის წარმოებაზე კი არაა,—სწარმოებდა თუ არა ის, არამედ აქ საჭიროა შეჩერება მეცადინეობის მეთოდიურ მხარეზე, ურომლისოდაც ვერას დროს ვერ მივიღებთ სასურველ ნაყოფს ჩვენი მუშაობიდან. ის ლექციური სისტემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცადინეობისა, რომელსაც ადგილი აქვს უფროსთა შემადგენლობასთან მუშაობის დროს მიზან შეუწონელია და საჭიროა მისი შეცვლა უფრო ცოცხალი და მოქნილი მეთოდით. გამოცდებმა გვიჩვენა რომ ლექციები, რომელიც იკითხება მეთაურთა შემადგენლობასთან, უფრო სამიტინგო ხასიათის მატარებელია და სხვა და სხვა გაურკვეველი ლოზუნგებითაა სავსე, რაც წმინდა შემსწავლელ სახეს უკარგავს მას. მაგალითად, როდესაც აძლევ კითხვას მეთაურს რისთვის დაეცა მეორე ინტერნაციონალი, ის გიპასუხებს საერთო ფრაზით: „იმიტომ რომ 2 ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა კლასს“-ო ხოლო თუ მისცემთ დამატებითი შეკითხვას: თუ რაში გამოიხატება ეს ღალატი? ის სდუმს, რაც ამის მაჩვენებელია რომ მას ასეთი პასუხი მოუსმენია მასწავლებლისაგან და თვითონ ასეთივე პასუხს იძლევა. ასეთი მაგალითები უამრავია, რაც იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენ მეცადინეობას უფრო პროპაგანდის ხასიათი აქვს და მოკლებულია ნაყოფიერ შემსწავლელ მნიშვნელობას.

ჩვენ მეცადინეობის დროს დაინტერესებული უნდა ვიყოთ არა მარტო იმაში, რომ სააგიტაციო ფრაზებში გავხვიოთ მოცემული თემა, არამედ დაწვრილებით გავიაროთ ის და შევასწავლოთ მსმენელებს. ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭიროა შეიცვალოს ჩვენი მეცადინეობასთან მიდგომის მეთოდი.

ჯერ ერთი,—თემის განვლის ხანს დაწვრილებით უნდა აუხსნათ ყველა ფაქტები მსმენელებს, რომ ნათელი წარმოდგენა იქონიონ საკითხზე და ფრაზეოლოგიას თავი დაანებონ და მეორეც ხშირ-ხშირად მოვაწყოთ მათში კოლექტიური მოხსენებანი განვლილ თემებზე, რაც ერთი მხრით საშვალებას მოგვცემს იქვე ცოცხლად შევამოწმოთ მისი ცოდნა და გამოვრიცხოთ საკმაოთ მოძველებული „საეგზამენო“ მეთოდი და მეორე მხრით ეს იძულებულს ხდის მეთაურებს რაც შეიძლება მეტი წაიკითხოს ამ საკითხის შესახებ და მეტი ნათელი წარმოდგენა იქონიოს მასზე. კოლექტიურ მოხსენებებს აქ ვაძახელებთ და ვაძლევთ უპირატესობას იმისათვის, რომ ოთხს, ხუთს ან მეტს მსმენელებს ჩააბამს ამ აქტიურ მუშაობაში, რომლებმაც უნდა დაინაწილონ ურთი-ერთ შორის მოცემულ თემებზე კითხვები და მასთან ხელს შეუწყობს კოლექტიური მუშაობის შეჩვევას და არსებულ კარჩაკეტილობის გადაგვარებას. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ რომ მხოლოდ ასეთი კოლექტიური მოხსენებებით შევსძლებთ მსმენელთა მთელი შემადგენლობა ჩავაბათ ამ მუშაობაში და განვსაზღვროთ მათი მომზადების დონე. ჯერ-ჯერობით წასული მეცადინეობიდან მიღებული გამოცდილებით მიზან შეწონილი იქნება მივიღოთ ასეთი სისტემა და მომავალში კი თვით საქმიანობის ხასიათი გვიჩვენებს რამდენათ ნაყოფის მოტანა შეუძლია ამ სისტემას და საჭიროა თუ არა მისი შეცვლა. ამავე ზემოხსენებულმა გამოცდებმა დაგვანახეს, რომ მეთაურები ძალიან ცოტას კითხულობენ გაზეთებს. რის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: მეთაურს ეკითხებიან როგორი მთავრობაა ინგლისში დღეს, და ის ამის პასუხს ვერ აძლევს, მაშინ, როდესაც პრესა ამაზე ლაპარაკობს. ასეთი მაგალითები მრავალია, რაც დაუშვებელია მეთაურის მიერ, რომელმაც უნდა აღზარდოს წითელ არმიელები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწილების მომუშავეებმა და გამონახონ სათანადო საშვალებანი. აქ ბევრი რამ შეუძლია კლუბმა გააკეთოს. მაგრამ ის გაჩერებულია და ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევს, და სამკითხველო კი რომელსაც პირდაპირ ეხება ეს საკითხი ჯერაც არ ცდილა ამ მტკივნეული ადგილის გაჯანსაღებას.

ყველა ეს ზემო ჩამოთვლილი ეხება არა მარტო იმ მეთაურებს, რომლებმაც ეხლა ნორმალური სკოლის გამოცდები ჩააბარეს, არამედ ყველას, მხოლოდ აქ ისინი აღებულია მაგალითისათვის როგორც გამოცდილების ერთ-ერთი შედეგი. აქ ძალიან ბევრია დამოკიდებული თვით მეთაურებისაგან, რომლებიც თვითონ უნდა იყონ დაინტერესებული ამ საკითხში, რადგან ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ვინც პოლიტიკურად უვიცია ის ვერ შესძლებს არსებობისათვის ბრძოლას. საშვალებები მეცადინეობის მეთოდიურათ გაუმჯობესებისა მრავალია, მხოლოდ საჭიროა ყველამ ამ დარგში მომუშავეებმა მიღებული გამოცდილებანი გამოიყენონ და მიიღონ მონაწილეობა საკითხის გადაჭრაში, თორემ მეცადინეობის ასეთ ნაირად დატოვება, როგორც სწარმოებს, დღეს, ვერ მოგვცემს სასურველ ნაყოფს და მხოლოდ ფორმალური მხარის და მნიშვნელობის მატარებელი იქნება.

კოწია სერგელი.

ჩვენი წითელი ყაზარმა

საქმე კარგად მიდის.

პირველი ლეგიონის პირველი ასეულში.

ჩვენი ლეგიონის პირველი ასეულში საქმე კარგად არის დაყენებული. 115 წითელ არმიელებიდან, მხოლოდ ორი წერა-კითხვის უცოდინარია.

პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ჩვენი უფ-პოლიტშემადგენლობა ენერგიულად მუშაობს წითელ-ერმიელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. განზრახულია ასეულში დაარსონ სხვა და სხვა ხასიათის წრეები.

სისუფთავის დაცვას ძლიერ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული; აბანოში სისტემატიურად იგზავნებიან ჩვენი წითელ არმიელები, ასე რომ სანიტარულის მხრივ ჩვენთან თავის რიგზეა ყველაფერი.

წითელ არმიელებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ თავითვე. ივნისში გამოწვეული არმიელები იმდენად დახელოვნდენ ამ მხრივ, რომ განცხადებებსაც კი სწერენ უფროსების სახელზე. მაგალითისთვის მომყავს ერთი შემთხვევა:

ივნისში გამოწვეული წერა-კითხვის უცოდინარი არმიელი ვლადიმერ სოფრომაძე მივიდა ასეულის უფროსთან და სთხოვა სამი დღის შვებულება. უფროსმა უთხრა: თუ შენი ხელით დასწერ განცხადებას შვებულების შესახებ, გაგიშვებო. წითელ არმიელმა მართლაც მშვენივრად შეასრულა ეს დავალება. განცხადების დაწერა მან თამამად შესძლო. ეს მოვლენა ჩვენი ასეულის გამარჯვებაა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

იმედია ასეულის მესვეურების ყურადღება და ინტერესი ამ საქმისადმი უფრო მეტ შედეგებს მოგვცემს.

სამხკორი შ. კვანიკაძე.

პირველ ლეგიონში.

გაერთიანებული კრება.

28 ნოემბერს შესდგა პირველი ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობისა და წითელ არმიელთა გაერთიანებული კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ბაახია.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

ლეგიონის დამხმარე ჯგუფის საქმიანობა ხუთი თვის განმავლობაში, ჯგუფის წევრების არჩევა, სახალხო მსაჯულთა არჩევა და მიმდინარე საკითხები.

ჯგუფის ხუთი თვის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. იმნაიშვილი.

მომხსენებელი შეეხო ჯგუფის საქმიანობაში, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს და აღნიშნა ის მიზეზებიც, რომლებიც ხშირად უშლიდენ ხელს მის საქმიან მოღვაწეობას.

კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო დამხმარე ჯგუფის მუშაობა და პირდაპირ გადავიდა ჯგუფის წევრების არჩევნებზე. არჩეული იქნენ: ჩახუნაშვილი, იმნაიშვილი და თავბერიძე.

სახალხო მსაჯულებად არჩეული იქნენ 100-მდე ამხანაგები, როგორც წითელ არმიელების, ისე უფ-პოლიტშემადგენლობიდან.

წითელ მასწავლებელთა კადრი.

ოქტომბრის გაწვევამ ჩვენს ცხენოსან ლეგიონში თავი მოუყარა 25 კაცამდე საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ ამხანაგებს, რომლებიც დანაწილებული იქნენ მასწავლებლად ლეგიონის ესკადრონებში.

მასწავლებელთა ახალი კადრი ენერგიულად ამოქმედდა, ისინი ხშირად მართავენ კრებებს და იმუშავებენ გეგმას, რომ უფრო იოლად შესძლონ წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის ჩატარება წითელ-არმიელებში.

ამავე დროს ჩვენი მასწავლებლები ესწრებიან ცენტრალურ კლუბში გახსნილ სემინარს და ისმენენ ლექციებს.

წითელი მასწავლებლები ძლიერ ხალისიანად ეკიდებიან მათდამი დავალებულ საქმეს. ყოველ საღამოობით ჩაერევიან წითელ არმიელებში და მართავენ საუბრებს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებსა და განსაკუთრებით კი პოლიტიკური საკითხების გარშემო.

ამ რამოდენიმე დღის წინად ამხანაგებმა მოაწყვეს „დეზერტირის გასამართლება.“ გასამართლებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახლად მოსულ წითელ-მოლაშქრეებზე.

უსურვებთ ჩვენს მასწავლებლებს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი წითელ-არმიელებისა და საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოდ.

წ. არმ. დათო ზეფრაშვილი

ექიმის თანაშემწე უნდა გამოსწორდეს.

ქართულ დივიზიის ლაზარეთის ქირურგიულ განყოფილებაში მსახურობს ექიმის თანაშემწე ვინმე ჟდანოვი. უნდა ითქვას რომ მ-ქე ჟდანოვი ვერ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. ის მეტის მეტად თავის ქეიფის კაცია და ცუდი საქციელიც თანა სდევს.

თავის მოვალეობას არ ასრულებს.

როდესაც უფროსი ექიმი შამოვა ლაზარეთში და დაიწყებს ავადმყოფების თვალიერებას, მ-ქე ჟდანოვი ისე აჩვენებს თავს, თითქოს აბრამის ბატკანი იყოს, მაგრამ მოარიდებს თუ არა თვალს ექიმს—იწყებს თავისას. ავადმყოფებს არ ხედავს, უკმეხად პასუხობს შეკითხვებზე და ხშირად კერძო ინტერესებიც კი ათამაშებს ზოგიერთ ავადმყოფების მიმართ.

მ-ქე ჟდანოვი ისედაც უზნეო კაცია. ათასი მნახველი „მეგობარი“ ქალები მოსდის და თავის საქმეს ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა შესაფერი ზომები იქნეს მიღებული ასეთი ვაჟბატონის წინააღმდეგ.

ავადმყოფებისადმი ასეთი მოქცევა, როგორც ჟდანოვს სჩვევია, ყოვლად დაუშვებელია.

ავადმყოფი კურსანტი დ. ქ.

ჩვენი სოფელი.

სოფლად მუშაობის საკითხი და წითელი ყაზარმა.

ყველასთვის ცხადია, რომ დღეს პარტიულ და საბჭოთა მუშაობის მორიგ უდიდეს საკითხად სდგას სოფლად მუშაობის გაცხოველება.

ცხადია, აქ მყოფნი ამხანაგები, თუნდ დიდი სურვილიც ქონდეს, ვერაფერს ვერ უშველის, სოფელს. საჭიროა ადგილობრივ, სოფლად, შექმნა მთელი კადრი ამხანაგებისა, რომლებიც, სრული შეგნებით პარტიის მიერ დაკისრებულ მოვალეობისა, მიუდგებიან წამოჭრილ საკითხების გადაწყვეტას. ეს კითხვა, მომზადებულ კომუნისტების სოფლად გადაგზავნა მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს.

პარტიის მიერ გამოყოფილმა კომისიებმა მობილიზაცია უყო პარტიულ ამხანაგებს და ისინი უკვე იგზავნებიან სოფლად. პარტიის საკონტროლო კომისიის პლენუმა გამოიტანა დადგენილება, ყველა მაზრებში კომისიების გაგზავნის შესახებ, რომლებიც ადგილობრივ შეისწავლიან სოფლად მუშაობის დადებით და უარყოფითი მხარეებს, რის შესახებ სათანადო მოხსენებას წარუდგენენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმებს სათანადო ზომების მისაღებად. როგორც ვხედავთ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რასაც ჩვენც უნდა შევუწყოთ ხელი.

რა როლი შეუძლია ამ საკითხში შეასრულოს წითელ ყაზარმებში მომუშავე პარტიულ ამხანაგებს? ძლიერ დიდი. წითელი ყაზარმა უშუალო ხიდია ქალაქიდან სოფელში. წითელი არმიელი იგივე გლეხია დროებით მოსული ყაზარმაში. მას სწორად შეუძლია სოფლის განწყობილების გადმოცემა. ჩვენ მისგან შეგვიძლია გავიგოთ თუ რა უჭირს სოფელს და აქედან სათანადო დასკვნები გავაკეთოთ. ჯარში მომუშავე პარტიულებმა უნდა აუხსნან და განუმარტონ წითელ არმიელებს ის ღონისძიებანი, რომელსაც ღებულობს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად. ამას მიაწვდის ის სოფელს წერილების საშვალებით (ის კავშირს არ სწყვეტს სოფელთან) და კანონიერ, ან ავადმყოფობის გამო შვებულებას, რომელსაც ის ღებულობს გამოიყენებს ამ მიზნისათვის. მაშასადამე, საჭიროა წითელ არმიელებისათვის ამ საკითხების ახსნა განმარტება და შვებულებაში მიმავალთათვის კი სათანადო განმარტება. იქიდან დაბრუნებული ისინი გაგვაცნობენ იმ ნაკლულოვანებას, რომელსაც კიდევ ექნება ადგილი. როგორც სჩანს, წითელი ყაზარმა იძლევა დიდ შესაძლებლობას სოფლის მუშაობისათვის დასახმარებლად, რასაც ჩვენ უეჭველად გამოვიყენებთ.

ხ. ლ—ძე.

ამბები სოფლებიდან.

სახელოსნო სკოლასთან.

შორაპნის მაზრის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს სოფ. კიცხის 7 წლიან სასწავლებელთან მოაწყოს საზეინკლო, სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები.

მუშათა ბინების აღმშენებლობა.

ქალაქ ჭიათურაში ეწყობა მუშათა ბინების სააღმშენებლო კოოპერატივი.

ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ.

სოფ. ტყვიავში, ფხვენისში და მეჯვრის ხევში (გორის მაზრა) ცეკავშირმა გახსნა ხეხილის მავნებლებთან საბრძოლველი სადგურები.

შორაპნის თეატრი.

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ თეატრში ყოველ წარმოდგენაზე რკ. გზის მტვირთველ მუშებს დაუთმონ 12 უფასო ბილეთი.

ჩვენი საქმიანობა.

ქ. ხენაკში მდგომ მეექვსე ტერ-ლეგიონს ცუდ პირობებში უხდებოდა არსებობა, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა საცხოვრებელი ბინების უქონლობაში და სხვა.

ამ ბოლო ხანებში გამოსწორდა ეს უმთავრესი ნაკლი ჩვენს ცხოვრებაში. საცხოვრებელი ბინები შეკეთდა და მოეწყო ყაზარმები. მნახველის ყურადღებას პირველადვე მიიპყრობს ლეგიონის წითელი კუთხეები. აქ ყველაზე უფრო საყურადღებო და საინტერესოა პირველი ასეულის წითელი კუთხე. ის ძლიერ ლამაზად არის მორთული.

წითელ-არმიელების მეცადინეობა კარგად სწარმოებს.

დეზერტირობა მოისპო. ამ თვის განმავლობაში არ ყოფილა დეზერტირობის ერთი შემთხვევაც კი.

პოლიტ-საათები

პოლიტსაათებს ყოველ დღიურად ატარებენ ლეგიონში. ასე რომ წითელ არმიელები ამ ჟამად საკმაოდ მომზადებული არიან პოლიტიკურ საკითხებში.

სამკითხველო.

სამკითხველო პირველ ხანებში ძლიერ ღარიბი გვქონდა, მაგრამ ამ ჟამად ესეც გამოსწორებული იქნა. წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ბლომად მოგვეპოვება. არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან წიგნებით და ხშირად დაიარებენ ბიბლიოთეკაში.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო საქმიანობა ჩინებულად მიმდინარეობს. კლუბში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები. ჩვენი დრამწრე დაკავშირებულია სამოქალაქო დრამწრესთან და ხშირად შეერთებული ძალით ვმართავთ წარმოდგენებს. კლუბს სათავეში უდგას ენერგიული მუშაკი ამხ. გეგია.

ხშირად იმართება უფასო წარმოდგენები, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ესწრებიან ადგილობრივი მცხოვრებლებიც.

სამნეო და სანიტარული ნაწილები.

ჩვენი სამნეო ნაწილი ფხიზლად სდგას თავის სადარაჯოზე. სადილები სუფთა და ძლიერ კარგი ურიგდება არმიელებს. სარეცხიც თავის დროზე ირეცხება და სხვა.

სანიტარული ნაწილის საქმიანობაც გამოკეთდა ამ ბოლო ხანებში, როგორც გაზეთ „წითელ არმიელის“ ფურცლებზე აღინიშნა. პირველ ხანებში ცუდი სანიტარული მდგომარეობა იყო მეექვსე ლეგიონში, მაგრამ ეს იმ დროს, როდესაც ლეგიონი ახლად ეწყობოდა. ამ ჟამად კი ყველაფერი მოწესრიგებულია და წითელ არმიელების სისუფთავესაც დიდი ყურადღებით ეკიდებიან.

უფ-პოლიტ-შემადგენლობა.

ლეგიონის უფ-პოლიტ შემადგენლობა აუცილებლად თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას. ისინი ენერგიულად ეწევიან მუშაობას წითელ არმიელებ შორის.

ერთ უზნეო მოქცევას არ ქონია ადგილი მათი მხრიდან. წითელ არმიელებთან დაახლოება ხდება არა სიტყვით, არამედ საქმით.

კავშირი სოფელთან.

ლეგიონს აყვანილი ყავს თავის მზრუნველობის ქვეშ ერთ ერთი მახლობელი სოფელი, რომელთანაც მჭიდროდ ვართ დაკავშირებული. სოფელში სისტემატიურად ვგზავნით წიგნებს, ბროშურებს და ჟურნალ გაზეთებს. ხშირად იგზავნებიან არმიელები სოფლად კულტურული მუშაობის ჩასატარებლად. გლეხებსა და არმიელებს შორის ძლიერ კარგი დამოკიდებულებაა.

შეფი.

ლეგიონი შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სენაკის სამაზრო აღმასკომს, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს. შეგვიკეთეს საცხოვრებელი ბინები, გვაწვდის ფულს წიგნებისა და სხვა საჭირო ნივთების შესაძენათ.

ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავზე აღმასკომმა გადმოგვცა დროშა.

პარტიული მუშაობა.

ლეგიონის პარტიული აპარატი კარგად მოქმედებს. პარტიული ძალები საკმაოა და კარგად მომზადებულიც არიან. ყოველ პარასკევობით სისტემატიურად იმართება კრებები, რომლებსაც ესწრებიან, როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები.

ლეგიონის ნაკლულევანებანი.

ეხლა საჭიროა ზოგიერთი ნაკლის აღნიშვნა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი ლეგიონის ცხოვრებაში და რომელიც საჩქაროდ უნდა გამოსწორდეს.

გაზ. „წითელ არმიელი“ სისტემატიურად მოგვდის, თითქმის სრულიად არ ვღებულობთ გაზეთ „კომუნისტს“ და „მუშას“, რაც დაჩქარებით უნდა მოწესრიგდეს.

ლეგიონს ჯერაც არ აქვს კოოპერატივი და კერძო ვაჭრები კი ტყავს გვაძრობენ. „ეკოგრუზმა“ უნდა მოგვიხერხოს რამე და გაგვიხსნას კოოპერატივი.

უფ-პოლიტ შემადგენლობისათვის ლეგიონს არა აქვს სასადილო. ამაზედაც საჭიროა ზრუნვა.

საჭიროა აგრეთვე მოგვცემდენ ერთ კბილის ექიმს, თორემ ხშირად სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მივდივართ.

იმედია ყველა ამ დანაკლისს სათანადო ყურადღება მიექცევა, ვისგანაც ჯერ არს.

ა. ჭკადუა.

ვინახულეთ კამოს სახელობის ფაბრიკა-ქარხნების სკოლები.

23 ნოემბერს ჩვენი პირველი საკავშირო ასეული მიწვეული იქნა ფაბრიკა-ქარხნების სკოლის დასათვალიერებლად.

ამ დღეს ხდებოდა სამხედრო ნაწილების ახკომკავშირელთა დაახლოება ამავე კავშირის სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

გავემგზავრეთ ხსენებულ სკოლისა და სახელოსნოების დასათვალიერებლათ.

მისვლისთანავე შემოგვეგება სკოლის გამგე, რომელიც წაგვიძღვა წინ და ჩამოგვარონია სასწავლებელი, კლუბის დარბაზი. ყველა შეკითხვებზე გარკვეულ პასუხს და ახსნა განმარტებას იძლეოდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენთვის, თუ რომელ კლასში რას გადიოდენ, როგორ ეპყრობოდენ მოწაფეები სახაზინო ნივთებს და მრავალი სხვა.

გამოირკვა, რომ მოწაფეები ძლიერ გულმოდგინეთ მეცადინეობენ.

შემდეგ სკოლის გამგემ წაგვიყვანა სკოლის სახელოსნოების დასათვალიერებლად. პირველად ვინახულეთ სადურგლო სახელოსნო, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე. მოწაფეების იშვიათური ნამუშევარის ნახვა ყველას სიამოვნებას გვრიდა. ვინახულეთ აგრეთვე სკოლის საზეინკლო. აქაც გახურებული მუშაობა. მუშური ახალგაზრდობა გაფაციცებით საქმიანობს. უკანასკნელად შევედით სამღებროშიც. საერთოდ სკოლამ და მისმა სახელოსნოებმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე.

უკან გამობრუნებისას, მოწაფეები გვთხოვეს ხშირად მისულიყავით მათთან. ჩვენც აღუთქვით. ძალიან კარგი იქნება ჩვენი ასეულის უფროსები მართლაც ხშირად წაგვიყვანდენ ამ სკოლაში.

საჭიროა აგრეთვე მოეწყოს ასეულის ექსკურსიები სხვა და სხვა ფაბრიკა-ქარხნებში. გარდა მუშებთან დაახლოებისა ჩვენი არმიელები გაეცნობიან ქარხნებს და შიგ წარმოებულ მუშაობას, რაც უნაყოფოდ არ ჩაივლის მათთვის.

სამხკორი შალაშინი.

ტანვარჯიშობა წითელ-ჯარში.

ჩვენს ჯარს ესაჭიროება წ. არმიელი აღზრდილი, როგორც მხედრულად, პოლიტიკურად, ისე ფიზიკურად.

საუბედუროდ ჩვენ წითელ ჯარში ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის სათანადო ყურადღება მიქცეული და სათანადო დონეზე დაყენებული წ. არმიელის ფიზიკური აღზრდა.

ფიზიკური აღზრდის საქმე ჩვენი ნაწილებში აქამდის სუსტია, რაც თხოულობს ამ საქმის დაჩქარებით მოგვარებას.

ზოგიერთი ნაწილში ისე არის დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე, რომ წ. არმიელს პირდაპირ ეჯავრება სპორტის ანუ ტანვარჯიშობის საათზე გამოსვლა სამეცადინოთ. ზოგიერთი ნაწილებს დღესაც არა აქვს „სპორტ-ზალები“ და სხვა და სხვა საჭირო იარაღები. ზოგიერთი მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა დღემდისინ უყურებს სპორტ-ტანვარჯიშობას, როგორც რაიმე გასართობს. ასეთი შეხედულება ძლიერ შემცდარია, რაც საჭიროა აღმოიფხვრას. ყოველ მეთაურს, პოლიტ-მომუშავეს უნდა აღბეჭდილი ქონდეს ლოზუნგი: „ჯანსაღ სხეულში—ჯანსაღი სულია“ და უნდა ახსოვდეთ, რომ უჯანსაღო წ. არმიელი არსად არ არის გამოსადეგი, რამდენადაც ის არ უნდა იქმნეს მომზადებული სამხედრო და პოლიტიკურ მხრივ. აქედან უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ფიზიკური აღზრდის საქმე უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად და პარალელურად—როგორც სამხედრო და პოლიტიკური აღზრდა. თუ ფიზიკური აღზრდა არ არის თავიდან დაყენებული სწორედ, მას შეუძლია მოიტანოს იმდენი უარყოფითი შედეგები, რამდენათაც დადებითი. ზოგიერთი ნაწილებში მიქცეული ყურადღება რომ გამოიყვანონ იმისთანა მოვარჯიშენი, რომლებიც აიღებენ პირველ ადგილებს ამა თუ იმ შეჯიბრებაში და მით ასახელებენ თავიანთ ნაწილს.

ამისთანა მოვარჯიშეებზე აქვთ მიქცეული მთელი ყურადღება, როგორც უფროსებს ისე თვით ზოგიერთ ინსტრუქტორებს. შეჯიბრებზე ხდება ხშირად დარიგება ვერცხლის და ოქროს „ჟეტონების“—ეს ზედმეტია და ასეთი შეჯიბრებები უნდა მოისპოს.

ეს ჰბადებს წ. არმიელთა შორის არა შეკავშირებას, არამედ შუღლს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ შეჯიბრებებს მივსცეთ რაიმე სადღესასწაულო ხასიათი და წახალისების ნიშნით დარიგებული იქმნას სხვა და სხვა საჭირო ნივთები: ფანქრები, რვეულები, წიგნები და სხვა ამისთანები.

ჩვენ არ უნდა ვესწრაფებოდეთ გამოვზარდოთ „რეკორდსმენები“. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ წითელ არმიელები სულ ყველა იქნან შეძლების დაგვარად ფიზიკურად ერთნაირად აღზრდილი იმდენად, რამდენადაც მას გაუადვილდება ყოველივე დაბრკოლებების გადალახვა და გაჭირვების ატანა.

ეხლა დაუბრუნდეთ იმ კითხვას თუ როგორ უნდა იქმნას ფიზიკური აღზრდა სწორედ დაყენებული და რა არის ამისათვის საჭირო?

1. ყველა ნაწილებს უნდა ქონდეს თავისი „სპორტ-ზალები“ და საჭირო სავარჯიშო იარაღი. უამისოდ მეცადინეობის სწორი ჩატარება ყოვლად შეუძლებელია; ეხლა მდგომარეობა ზოგიერთი ნაწილებში ასეთია: იქ, სადაც არ არის „სპორტ-ზალები“ ავდრების დროს არავითარი მეცადინეობა არ სწარმოებს და ინსტრუქტორები ხელდაკრეფილნი დადიან. ზამთარში განუწყვეტლივ ავდარი შეიძლება იქნეს, მაშასადამე არავითარი მეცადინეობა არ იქნება.

აბ. იოსავა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

მიგვაჩნია რა ტანვარჯიშობის და სპორტის საკითხი წითელ ჯარში ფრიად სერიოზული საკითხად, საშუალებას ვაძლევთ ამხ. იოსავას ამ საკითხის შესახებ წერილების მოთავსებისას, თუმცა რედაქცია წერილის ავტორს რამდენიმე დებულებაში არ ეთანხმება.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი სპექტოგრაფი.

სპექტოგრაფი ერთგვარი ხელსაწყოა, რომლის საშვალებით სწავლობენ სხვა და სხვა სხეულების მიერ გამოშვებულ სხივებს—სპექტორს, მაგალითად ვარსკვლავებისა და მზის სპექტრების შესწავლით შესაძლებელი ხდება თვით ამ სხეულების ბუნების, მათი ნივთიერი შემადგენლობის გამორკვევა.

ამ ჟამად ლენინგრადის პულკოვის ობსერვატორია შეუდგა ახალი სპექტოგრაფის საშუალებით მზის სხივების შესწავლას. აღნიშნული სპექტოგრაფი უდიდესად უნდა ჩაითვალოს არა მარტო რუსეთში არამედ ევროპაშიც აქამდე არსებულ სპექტოგრაფებზე.

პულკოვოს ასტრონომების (მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ მნათობებს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების და სხვათა მოძრაობას) ამოცანას შეადგენს ამ ახალი იარაღით გამოარკვიონ მზის ფიზიკური მოქმედება.

მაგალითად სპექტოგრაფის საშვალებით შესაძლებელი შეიქნება გამოარკვიონ-განიხილონ მზის ელექტრონული არე, ელექტრო-ანდამატური მოვლენები ეგრედ წოდებულ მზის შავ ლაქებში, სპექტრალური ხაზების საშვალებით გამოარკვევენ მზის თავის ღერძის გარშემო ბრუნვის დროს და სხვა.

მეტად ორიგინალურად მოაწყვეს ობსერვატორიის მესვეურებმა ეს იარაღი. ის მოთავსებულია ორ სართულიან სახლის სახურავზე, სპეციალურად დამზადებულ კიოსკში. იქვე მოთავსებულია მბრუნავი სარკე. სარკეზე დაცემული მზის სხივები აირეკნებიან ვერტიკალურად (შვეულად) ძირს მიწაზე. გზაზე სხივებს ხვდებათ ბრტყელი სარკე, რომელიც თავის მხრივ სხივებს მიმართავს თარაზულად ჰორიზონტალურად ერთი ოთახის ფანჯრისაკენ, სადაც სამ ფეხზე დამაგრებული დიდი ჭოგრი სპექტოგრაფის სხვა და სხვა ნაწილებით.

ამნაირად შეიძლება მზე განხილული იქნეს ოთახიდან ისე, რომ მზეს არ უყურებდეთ.

ჩვენი შემოქმედებანი.

„წითელი სანიტარი (დამატება) № 1.

(პირველი დივიზიის ლაზარეთის კედლის გაზეთი).

გაზეთი გამოცემულია ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის დღესასწაულისათვის.

ფორმატი ძლიერ დიდი, ლოზუნგები მომენტის შესაფერი და მეტად მოხდენილად დაწერილი, მხატვრობა (სურათები სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან) კარგად არის შესრულებული, წერილები უმთავრესად სადღესასწაულო ხასიათის არიან.

ლექსებიც სადღეისო.

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე რუსულად დაწერილი წერილებიც.

წერილებს შიგა და შიგ სვეტებში მოთავსებულია ოქტომბრის რევოლიუციის ბელადების სურათები: ლენინი, ტროცკი და ორჯონიკიძე. შემდეგ ლენინი მიტინგზე და სხვა.

სურათების უმეტესი ნაწილი გაზეთებიდან არის ამოჭრილი და ჩაკრული, რაც დაუშვებელია, ის სილამაზეს უკარგავს გაზეთს, საკვირველია, რად ჩაიდინეს. ეს ვინც შესძლო გაზეთის სათაურზე წითელ არმიელის და სხვა სურათების დახატვა, ამასაც შესძლებდა.

ლექსი „წითელი ოქტომბერი“ სხვა ქაღალდზეა დაწერილი და ისეა გაზეთში ჩაკრული— არც ეს უნდა განიმეორონ გაზეთის ხელმძღვანელებმა შემდეგში.

სარედაქციო კოლეგიის უნდა შევნიშნოთ კიდევ ერთი რამ: კედლის გაზეთის მაგივრად შემოკლებით ხმარობენ „კედგაზეთს“. ესეც დაუშვებელია. რა საჭიროა ამ გამოთქმის ასეთი შემოკლება?

სხვა მხრივ ეს დამატება დამაკმაყოფილებელია და უფრო ატარებს გაზეთ-პლაკატის სახეს.

სანი.

ახალი ამბები.

— **სამხედრო კოოპერაცია ფართოვდება.** ქართ. სამხ. კოოპერატივი „ევკოგრუზის“ გამგეობა ამ დღეებში გახსნის ახალ მაღაზიას 1-ლი უნივერსალური მაღაზიის გვერდით.

— **კულტმუშაობა.** 1-ლი ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან მოეწყო ცალკე დარბაზი, სადაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სადაც გარდა მეცადინეობისა შეიძლება გონივრული სათამაშოებით გართობაც.

— **სახლების გადაცემა.** სენაკის სამაზრო აღმასკომმა გადასცა მეექვსე ლეგიონს სამი სახლი, წითელ-არმიელთა ბინებათ.

— **მოძრავი კინო.** სოფლათ კულტ-განმანათლებელ მუშაობის წარმატებით ჩასატარებლათ პოლიტ-განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს ორი მოძრავი კინო-მანქანა.

— **ქალაქის აღმშენებლობა.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა დიდუბეში ააშენოს უდიდესი წისქვილი, სადაც დაიფქვება 4 ათასი ფუთი დღეში. წისქვილის ასაშენებლათ მასალის მზადებას უკვე შეუდგენ.

— **სახ.-სამეურნეო იარაღების შეძენა.** ქალ. აღმასკომს განზრახული აქვს მომავალი წლის განმავლობაში შეიძინოს 19.260 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **თივა სამხ. ნაწილებისათვის.** ცეკავშირი აწარმოებს თივის დამზადებას სამხ. ნაწილებისათვის. უკვე დაამზადა 300 ათასი ფ. თივა.

— **სოფლის მუშათა დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა შემოიღოს სასოფლო მეურნეობაში მომუშავეთა დაზღვევა.

— **სიძველეთა დაცვა.** სიძველეთა დაცვის სამმართველომ მისწერა მაზრებს სიძველეთა ძეგლების აღრიცხვაზე აღებისა და მოვლა პატრონობის გაწევის შესახებ.

ხელოვნება.

— **მხატვართა გამოფენა.** გუშინ განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა ქართული მხატვრობის გამოფენა. წითელ არმიელთათვის შესვლა ღირს 20 კაპ.

— **ახალი კავკასიონი.** სრ. საქართ. მწერალთა კავშირის ორგანო „ახალი კავკასიონი“ გამოვა ახლო ხანში ნაცვლათ ჟურნალ „კავკასიონისა“.

— **ახალი პიესა.** გრიგოლ რობაქიძემ დასწერა ახალი პიესა „გველის ქვა“, რომელიც დაიდგმება რუსთაველის თეატრში.

— **აკაკის ნაწერები.** ახლო ხანში გამოვა აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა 1-ლი ტომი. დამზადებულია გამოსაცემათ დანარჩენი ტომებიც.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. სიმართლეს. თქვენი წერილი „ასეთი წითელი მეთაური სასტიკი სასჯელის ღირსია“ არ დაიბეჭდება. საკითხი მოაგვარეთ ადგილობრივად თუნდა კრების საშვალებით და საერთო ამხანაგური განკიცხვის გამოტანით.

ამხ. გრ. შავგულიძეს. კორესპონდენცია: „მეცადინეობა დაიწყო“ არ გავა. მასზე უკვე აღინიშნა ჩვენს გაზეთში. მოგვაწოდეთ სხვა და სხვა ხასიათის წერილები.

ჩვენს სამხკორებს. ნუ შეასუსტებთ წერილების წერას, მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ხშირად და სისტემატიურად.

ამხ. ხუნდიაშვილს. თქვენი ლექსი „წითელი არმიელი“ არ გავა. სწერეთ კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

ამხ. ს. მუჟურელს. თქვენი წერილი „როგორ მივახწიოთ მიზანს“ მთლიანად არ გავა. გამოვიყენებთ იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია მასწავლებლების დაგვიანების შესახებ გაკვეთილებზე.

ამხ. ს. სერელს. შემოიარეთ რედაქციაში.

განცხადება.

ორშაბათს, 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში შესდგება ყველა ნაწილების სკოლის გარეშე მუშაკთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. დასწრება სავალდებულოა: კლუბის უფროსების, პოლიტ-ხელების, ბიბლიოთეკის გამგეების, ასეულის ბიბგამგეების და წრეთა ორგანიზატორების.

ინსტრუქტორი დ. წვენიძე.

ნ.ფ. ს. ც
ტირაჟი 1500
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი— ღ. ჩანტლაძე